ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიასა და სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმს შორის

ერთი მხრივ, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია (შემდგომში - აკადემია), წარმოდგენილი რექტორის, პოლკოვნიკ ზაზა ჯაფარიძის სახით, და მეორე მხრივ, სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი (შემდგომში - ლიცეუმი), წარმოდგენილი დირექტორის, პოლკოვნიკ შალვა ძინძიბაძის სახით (შემდგომში - მხარეები), აღიარებენ თავდაცვის სფეროში თითოეული მათგანის დანიშნულებას, გამოხატავენ რა აკადემიასა და ლიცეუმს შორის ურთიერთთანამშრომლობის სურვილს, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში თანხმდებიან შემდეგზე:

1. **მემორანდუმის მიზანი**

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია ხელი შეუწყოს იუნკერებისა და კადეტების პროფესიონალებად ჩამოყალიბებას, მათი პოტენციალის რეალიზებას, პატრიოტული სულისკვეთების გაძლიერებას, პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენასა და განვითარებას, აგრეთვე პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

2. **მემორანდუმის ამოცანები**

მემორანდუმის მიზნებიდან გამომდინარე, ურთიერთთანამშრომლობით მხარეები უფლებამოსილნი არიან:

ა) დაგეგმონ და განახორციელონ ერთობლივი წვრთნები და სწავლებები;

ბ) დაგეგმონ და განახორციელონ ერთობლივი სპორტული და კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებები;

გ) ითანამშრომლონ სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით;

დ) დაგეგმონ და განახორციელონ ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციები;

ე) ითანამშრომლონ კურსდამთავრებული კადეტების აკადემიაში ჩაბარების პროცესთან დაკავშირებით;

ვ) შეიმუშაონ და განახორციელონ პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ერთობლივი პროგრამები;

ზ) ითანამშრომლონ ბიბლიოთეკების განვითარების საკითხებში.

3. პასუხისმგებლობა

მემორანდუმი დაფუძნებულია მხარეთა კეთილ ნებაზე, ნებისმიერი საკითხი უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე. მხარეთა ურთიერთთანამშრომლობის პროცესში მემორანდუმი არ ითვალისწინებს ფინანსურ ვალდებულებებს.

4. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

1. ცალკეული ღონისძიებების ჩატარება და სხვა სახის ერთობლივი მოქმედებების განხორციელება მოხდება მხარეთა შორის შემდგომი მოლაპარაკების საფუძველზე;
2. მხარეებს შეუძლიათ მოითხოვონ მემორანდუმის გაუქმება მეორე მხარისთვის 30 (ოცდაათი) დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით;
3. მემორანდუმის გაუქმების შემთხვევაში მხარეებმა შესაძლებლობის ფარგლებში, მილევად რეჟიმში, უნდა დაასრულონ ერთობლივად დაწყებული ყველა ღონისძიება;
4. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან.

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორი

პოლკოვნიკი ზაზა ჯაფარიძე

ქ. თბილისი

სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დირექტორი

პოლკოვნიკი მალვა ძინძიბაძე

"9" 11 2017 წ.